ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

# ნიანგი

№ 19



მოვცხოთ ბიუროკრატებს,
ვინც ბრმა და შტერია.

ვინც სილოსის მშენებლობის
და საქონლის მტერია.

ვისაც თავში მოშლილი აქვს
ტვინის ბულალტერია!

## გისმენთ

ატკუდა კაცო, რა გინდა? ხმა ამეილე, რას უფრთხილდები მა ყელი ძაფებს... მო, ასე. შე ონჯას ასეთებულო. აი ეხლა მესმის!...

ქვედა სიმონეთიდან ხარ? მო, მო! რაო, ვინ დაგინიშნეს ნოქრათ? არტემ კლდიაშვილს რავა ვერ ვიცნობ კაცო, ...ას წინეთ ხამი მეტრი შევიოტი და ოთხი კი...ო შა...არი გამომიგზავნა, ღმერთმა ააშენა მაგისი ოჯახი! რაო? ფართალს თავის ძმა-ბიჭებს ატანს ღამ-ღამობით! ტყუი ძამია, არ დაგიჯერებ. მაი ამბავი მე ჩემი თვალით დღისით ვნახე... რაო? ამეილე კაცო, ეგ ჩასაწყვეტი ხმა, ძვალი ხომ არ გაგეჩარა მა ყრონტში... ო, მახთე!.. რაო? ვაჭარ დოლონაძეს ასესხა კოოპერატივის ფული, რომლითაც შემდეგ ღორები იყიდეს, დაკლეს და ხორცი გაყიდეს? არა ძამია, არც ეგაა მართალი. ის ღორები დოლონაძემ კი არ დახოცა, ცოცხლად გაყიდა... როდესაც არტემას მონაგებ ფულს უყოფდა, მე თვითონ იქ ვიყავი...

რაო? არტემ კლდიაშვილმა ხასიკვდილოთ დახჭრა კომკავშირელი ქ. კლდიაშვილი და პროკურორმა ხმა არ ამოიღო? მერედა შე ოჯახაშენებულო, პროკურორს თუ არ მოხვედრია—ხმა რატომ უნდა ამოეღო? აი ქვედა სიმონეთში სულ ახეთი კლიაოზნი ხალხი რომ ხარო, კოოპერატივში თითქოს ხროლას მიტომ მართავს ნოქარი არტემა, თვარა მართლა სულელი კი არაა ... ტ...ვილა დაწვას მაგდენი ტყვია-წამალი!

ტელეფონ.. ხმა ამეილე კაცო, არ ისმის არაფერი! ტელეფონ... ვინ ლაპარაკობდა, არ გესმის?!. ტელეფონ... შე ხმა ჩასაწყვეტო!. წასულა.. ვაი შენი მომგონის ოჯახი ააშენა ისიე, როგორც ახლა არტემ კლდიაშვილის ოჯახი აშენდება!

შინშარი.

## „კაკო ყაჩაღი“

(ბაქურიანი)

ბაკურიანის სტუმრის
ძალავ ამშვენებს იცით ვინა?!.
დოლიძეა, რომლისთვისაც
ციხეშია ძმაო ბინა.

—:—

ამას წინეთ დათვრა გმირი
და დაუბვდა გზაზე ეტლსა.
„ძირს ჩამოდით“,—შემოსძახა,
„თორემ აგიტირებთ ღმერთსა“!

—:—

რა დოლიძემ—აბრამაშვილს
გაუყარა თვალი თვალში,
იცნო ჩვენი თავმჯდომარე
აუვარდა სისხლი თავში.

—:—

და ფარფატით გზას გაუდგა,
მიაშურა ბაკურიანს.
უდავოა რომ სტუმრის—
მოაყენებს იგი ზიანს.

-ი.

## „თავის მართლება“



სამზროს მთვრალი თავმჯდომარე—
ეხლაც ხომ ველარ დამაბრალებენ მემარჯვენეობას, ხედავ. ღარიბ გლეხებზე ვეყრდნობი?!

## კულაკების „მფარველი ანგელოზი“

სოფელ ხელთუბანშიც შეუდგენ პურის დამზადებას. დასამზადებელ პურის დიდი რაოდენობა კულაკებს უნდა გადაეხადათ, მაგრამ მათ „მფარველ ანგელოზებად“ გამოუჩნდნენ თავისივე ნაცნობმეგობრები და ნათესავები—სოფლის ზოგიერთი „მესვეურები“.

ამ მესვეურებმა ბევრი იფიქრეს, რომ რამე საშუალება გამოეძებნათ და კულაკები გაენთავისუფლებიათ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებისაგან.

— მაგრამ მათ მაგივრად სხვა ვინ გადიხდიდა?—აი, თავსამტვრევი კითხვა, რომელიც მათ მოსვენებას არ აძლევდა.

დიდი ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ გადასწყვიტეს კულაკები ღარიბების სიაში მოექციათ, ხოლო ზოგიერთი ღარიბი და საშუალო გლეხები კულაკებად მოენათლად.

ასეც მოიქცენ: მალე კულაკების სიაში თავი ამოჰყო საშუალო გლეხმა გიგა ანესაშვილმა, ერთმა ღარიბ-ლატაკმა ქვრივმა დედაკაცმა და სხვებმა. თვითეული მათგანი დაბეგრეს ინდივიდუალურად და 300-400 ფუთობით პური შეაწერეს.

განასაჩივრეს რაიონში, მაგრამ ამაოდ. ერთ ღამეს მათ თავს დაესხა ოლმასკომის თავმჯდომარე შეიარაღებული მილიციით და გადასახადში აუწერა ხუთი სული საქონელი.

რაკი ეს ამბავი „შოლტში“ მოვათავსეთ, მკითხველებს ხუმრობა ეგონებათ, არ დაიჯერებენ, სანამ დამნაშავენი „ვირის აბანოში“ არ ამოჰყოფენ თავს.

მექისე.

## ყურმოკრული

— ხაით მიეჩქარები მიხა?
— მინდა ის მკითხავი მართამოვიყვანო, თორემ ჩემი ცოლი რაღაც იტკივებს და ფეხები არ გაფშიკოს!
— არა გრცხვენია? კიდევ მკითხავ-ექიმბაშებს უძახი?! ექამს ან ფერშალს ვერ მიმართე?
—რა ვქნა, ძმაო, აქ, ჩოლაურში წინად კი იყვნენ ისინი, მაგრამ ეხლა ლაშხეთში არიან, ცენტრში, აქ ილარ კადრულობენ და... ეს ადგილობრივი ხელისუფლებაც რომ ყურს არ იბერტყს?!

ია.

## საიდუმლოდ

ს. გოდგისხევის ალმასკომის თავმჯდომარეს

სალამი და გამარჯვება ჩემს მასა და პირის ზიარება მიშკა წიპლუგინს. კაცო, ეს ერთი კვირაა ...ავიგე შენი ბედნიერება,—თურმე სოფლის ბატონად გამხდარხარ. აქ ...მ ღასაქცევ ქალაქში ღვინოს ძლივს ვშოულობთ, შენ კი თურმე კახური ღვინის მორევში სცურავ უყველდღე და დანივრულ ...რიებს შეექცევი...

კაცო, ეგ კი არა თურმე ამ რამდენიმე დღის წინ სრულიად უდაიაშაოთ გლეხი დაგიპატიმრებია გომურში და ბოლოს ერთი კარგა ...რადაც დაგისილოსებია (...ეხე იგი დაგიმუავებია). ძალიან კარგა მოქცეულხარ. მო და რა! ...თავმჯდომარე კაცი ხარ. ყველა შენი შიშით უნდა კანკალებდეს!

ის კი არ მომეწონა, გაიგონებიხას რომ მონანიება დაგიწყია და ...აგიწერინებია ხელწერილი, ვითომ შენ მისთვის ხელიც არ ...გეხლოს... რაკი ურტყი რაღას ეფერები... რისი გეშინია?! თუ გიჩივლა ...ვიმე—ახლა მათრახი მიაყოლე, რომ ენა მუცელში ჩაუვარდეს!.. ...აში... ამის შემდეგ ხალხში უფრო ...ტი პატივი გექნება...

მართლა კაცო! ამბობენ ალმას...ის ...იბიდან შვიდას მანეთიანი ...ცხენი გიყიდია, რომელიც ღვინო...აკროლობისას თურმე გზაში წამოგექცა და კინაღამ მოგკლა... ...რა, ეგ ცხენი—უსათუოდ შენი მტრების აგენტი იქნება და განგებ ...გიწყო ეგ „შტუკა“... შე კაი ...ცო რევოლვერს ესროდი და როგორ დაა...... მე რომ ვყოფილიყავ უსათუოდ მოვკლავდი...

...ეგ სხვა ცხენი ველარ გაგიბე...ავდა ლალატს...

ახე... ჩემო მიშა... ეგ ცხენი მოულავი არ გაუშვა... რა გენაღვლება, შენი ფული ხომ არ მიგიკია?!

ელდა.

## მტახვეველი

ქორი მოფრინდა შორიდან
ერწოს მოახტა ფარულად.
„გააინსცხა“ ფულები
...ტყიდან, რომ გამიპარულა.

—:—

ეს საბჭოს თავმჯდომარეა
გელაშვილია—გუმანი,
რომელმაც შვიდ თვეს „გაქაფა“
სამას სამოცი თუმანი.

—:—

„გაქაფა“, მაგრამ ვინ ეძებს
ეხლა ის დიდი კაცია,
ვგონებ ტფილისში მოეწყო
კავერკოტები აცვია.

—:—

ამიტომ შოლტო მოგმართავ
გაამათრახო ყველანი,
ვინც სოფელს შემოეჩვევა
გამფლანგველი თუ ვერანი.

ხევსურიშვილი.

# ასაც „ამზადებს"



კოოპერატორი—ორი დღის განმავლობაში, ულაპარაკოდ ათი ათასი საზამთრო უნდა ჩამაბაროთ!

გლეხები.—ეგ შეუძლებელია, ჯერ არ დამწიფებულა ამხანაგო!

კოოპერატორი.—მე არაფერი ვიცი, ორ დღეში უნდა მომიტანოთ ათი ათასი საზამთრო, დამზადების გეგმა ასი პროცენტით უნდა შევასრულო!

## ს. ძეგვში

— მარტო რათა მუშაობ, ძმობილო? აქ ხომ არის სასოფლო-სამეურნეო არტელი და რად არ შეხველ?

— ღარიბი გლეხი ვარ, შენი ჭირიმე, და იმითვინა!

— მერე და ეს არტელებიც სწორედ ღარიბ, საშუალო გლეხთა და მოჯამაგირეებისათვის არაა?!

— დიაღ, ეგრე ამბობენ... სხვა სოფლებში ანგრე ყოფილა თურმე, მაგრამ აქ კი...

— რა?

— რა და, თავები უთავოები გვყავს... ხელისუფლების და პარტიის მიზნები მათთვის უცხო ხილია, როგორც უნდათ, ისე იქცევიან... აბა ბიჭი ხარ და გაუბედე რამე! მათი დაუდევრობით ახლა 86 წევრი-ღაა კოლექტივში წინად კი 117 იყო. სრული უწესრიგობაა, კოლექტივში აუარებელი საქმე აქვთ და წევრები კი აქეთ-იქით გარბიან დაუკითხავად. არც შრომის დისციპლინა, არც მოსავლის განაწილებაზე რიგიანი ზრუნვა; ჩვენებიანთ დ. სოლოღაშვილი და ეს ჩემი მეზობელი ბ. ფალიაშვილი ავადმყოფობის გამო განაწილებას ვერ დაესწრნენ—კი არაფერი არგუნეს.

— მერე და სადაა პარტუჯრედი. ან რაიკოლმეურნკავშირი?

—აბა რა ვიცი, ალბად იქნებიან სადმე... მე კი ცხარი მიიხრევა კოლექტივში, ღარიბი ხარო და..

გამვლელი.

## სურათი თერჯოლაში

მზიანი შუადღეა. პავლე ნემსაძეს ღვინო გადაუკრავს და ქუჩაში მიიმღერის:

— ვენაცვალე პავლესათ,—დაიძახამს და დალევსათ...

პავლე ეტყობა რაღაც მოვალეობას ასრულებს, ხელში სია უჭირავს... ვიღაცას აგინებს.

— ვინ გამიბედავს უარის თქმას! რათ? ეხლავე მომიტანეთ ხიმინდი... ეხლავე მეთქი!

წინ ღარიბი გლეხი კალენიკე გოგიაშვილი ელიბება და რაღაც ქაღალდს აწვდის.

— აი ამხანაგო პავლე, სარაიონო შტაბმა გამანთავისუფლეა ამ გამოსაღებისაგან.

— რის შტაბი, რის ფლავი... ხიმინდი მეთქი!..—უტევს პავლე და ქაღალდს შუაზე ფხრეწავს...

გზა ბლიაძის დუქნისაკენ მიდის და პავლეც იქით მოემართება. დუქანში მიშა ლუხუტაშვილი ხვდება. პავლეს ბუზები კამეჩებად ეჩვენება და შეტევაზე გადადის.

— წაადი შენი.., ხომ ხედავ ამფიშტოს—შვიდი ტყვია ერთად გავარდება! რევოლვერმა, რომ დაჰქა მიშა ლუხუტაშვილი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ პავლე არ ხუმრობდა, მაშინვე მოჭკურცხლა.

პავლეს ეხლა სახალხო მამულის მუშა ამბროსი ბოჭორიშვილი შემოეხეჩა, მან გამოშიშვლებული რევოლვერი ახლა მას მიაბჯინა.

— შეიდექ!! იცი მე ვინა ვარ? ჩაიჩოქე ეხლავე!.. არ გესმის? დაიჩოქე-მეთქი! ჰო, მასე... აილე პიწა და ჭამე... აილე მეთქი თორემ დედას... შენ ხომ იცი მე პარტიის კაცი ვარ!.. შეჭამე... ასე, ჰო ასე.

ზარდაცემული მუშა მიწას შეექცევა, პავლე კი რევოლვერით ხელში, სიამოვნებით ხითხითებს; თან თავის საყვარელ სიმღერას მღერის:

— ვენაცვალე პავლესათ, დაიძახამს და დალევსათ...

რაიკომო, ეს სიმღერა გესმის?

ისარი.

## ჯადო

ახალსოფელში დიდი ხანია წვიმა არ მოსულა. გვალვამ დალუპა მოსავალი. მოხუცი გლეხები ჩვეულებრივ მივიდენ მკითხავთან მართა ქევხიშვილთან, რომ მას აეხსნა ასეთი გვალვის მიზეზი.

— გვალვისა და ქვეყნის დაღუპვის მიზეზი ის არის, რომ დავივიწყეთ ღმერთი და რჯული, პატივს აღარა ვცემთ აღარც მღვდელსა და აღარც ბერსა. მოხუცებიც კი აჰყევით ახალგაზრდებსა და კოლექტივებში შეხვედით თავპირის მტვრევით.

— კი, მაგრამ გვალვას მაინც რით შეიძლება ვუშველოთ,

— რა ვიცი, მე კი დავილუპეთ და!—ჩაილაპარაკა ერთმა მოხუცმა.

— შენც დაილუპები და შეიძლება მთელი სოფელიც დაილუპოს, სანამ ჯადოს თავიდან არ მოვიშორებთ და არ მოვსპობთ.

— რომელ ჯადოს, სად არის ჯადო?—იკითხეს გაკვირვებით.

— რომელ ჯადოსა და რადიოს. ეს ნამდვილი ჯადოა, ეშმაკის ხელით გაკეთებული, სადღაც ეშმაკი ზის და გინდა კაცის ხმაზე დაგელაპარაკება, გინდა ქალის ხმაზე.

ერთმა მოხუცმა შიშისაგან პირჯვარი გადიწერა. მეორე დღეს რაიონი დადუმდა. ამბობენ ქოხ-სამკითხველოს გამგემაც გაიზიარა მკითხავის აზრიო.

წკიპურტი.

## გასვლა-გამოცვლა

კვერცხზე, ქათამზე, ინდოურებზე, ერბო-კარაქზე, გოროვანქოობით და ცალობით ვყიდი ხელის მომწერლებისათვის მოსულს ფურნით-და ზეთებს. ხელის მომწერნი ფოსტაში ტყუილად მოხვლით თავს ნუ შეიწუხებენ.

ყვარელის ფოსტის გამგე.

# სრულიად თავისუფალი ქიშპობა



ქარელის რაიონში ჩარჩ-ვაჭრები იჩიშებიან პურის დამამზადებელ ორგანიზაციებს. მუქთად იძენენ პურს და გაათკეცებულ ფასში ჰყიდიან. ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებს მათ წინააღმდეგ.

კორესპონდენციიდან.

## ვინ შეჭამა

— მოდი ვნახოთ ფიჩხოვანში
არტელს ვინ ასცანცლა ფული,
ოცდა ხუთი თუმნით ნეტა
რომელს გაეხარა გული!

:

წევრებმა მას მიაბარეს,—
რომ გადაეხადა ვალი,
მაგრამ იყიდა ხარი და
მთელ თვეს დადიოდა მთვრალი!

:

ოჯახში არჩეინად ზის
(კომუჯრედის მდივანია!)
სახელი? გვარი?—რად გინდა,
პეტრეა თუ ივანეა?!.

—:—

სახელს ეხლა ვინ კითხულობს
თუ კი შერჩა უნდა ჭამოს,
ოღონდ—ჭამა პროკურორმა
ივანეს არ ჩააშხამოს.

ელვა.

## მაგრათ მოუსვრით

შოლტო, კოკის ალმასკომს
გაუფანტე ძილია.
ჩვენი გზების შეკეთებას
მუშაობა სჭირია.

—:—

სამკითხველოც უქმად გდია,
ორი კლიტე ჰკიდია.
გაზეთების წასაკითხად
ვირთაგვები მიდიან.

—:—

შვიდწლიანი შრომის სკოლაც
უპატრონოდ ოხრდება.
ახ თუ ერთი ჩვენს „წინამძღოლს“
შოლტი მაგრა მოხვდება!

—:—

ერთი ამ ჩვენს თავმჯდომარეს
მოვცხოთ ბარე ძალიან.
სოფლისათვის და გლეხობისთვის
დღემდის რომ არ სცალიან!

კვახი.

## ! ? !

ყვიბისელ გლეხების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ ღვინის სიმცირის გამო ახლა არაყის სმას შევუდექ და ჩემთან საქმეზე ვინც მოდიოდეს, მარკების მაგიერ ერთი ჩარექა არაყი უსათუოდ გამოიყოლიოს.

საბჭოს მდივანი
სამსონ გოგოლაძე.

## არ ვეძებთ!

უკვალოდ დაიკარგა სოფელ ხვანჭკარის სას.-სამეურნეო არტელის სარევიზიო კომისია, მთელი თავისი შემადგენლობით. ნიშნები: ორივე თვალით ბრმა-უსინათლო, მხრებზე თავის მაგვარი მოყვანილობის კომბოსტო.

მპოვნელს ვთხოვთ თავისთვის შეინახოს.

არტელის წევრები.

## მადლობა

თერჯოლის ალმასკომის თავმჯდომარე არჯევანიძეს, რომელმაც მომცა სიღარიბის ყალბი მოწმობა უნივერსიტეტში წარსადგენად. მე ამ მოწმობის მეოხებით უკვე ჩამრიცხეს უნივერსიტეტში.

ქეიფი ჩემზე იყოს.

გულითადი სალამით:
ფიდოლა მხეიძე.

## განცხადება

ჩვენ სოფ. მუხურას კულაკები: ქ. კირკიტაძე, სტეფანე კირკიტაძე, ბ. ა. ბოჭორიშვილი და გ. ბოჭორიშვილი ვაცხადებთ საბჭოს თავმჯდომარის—პატივცემულ ნესტორ ქურციკიძის საყურადღებოთ, რომ პირველ სექტემბრიდან მის დასაპატიჟებელ დღეებათ დავნიშნეთ ყოველი მესამე დღე.

გაუმასპინძლდებით მას ყველა ერთად, რადგან ცალ-ცალკე გამასპინძლება აქამდე გაცილებით მეტი გვიჯდებოდა.

ქეიფი იმართება ჩვეულებისამებრ ჩვენს ოჯახებში რიგ-რიგობით.

პატივისცემით: ქ. და სტ. კირკიტაძეები,
ბ. და გ. ბოჭორიშვილები.

## თბილი კამპანია

ტყვილი არაფის გვეთქმის,
გაცლექში თვალით ნახული,
ხაბუთიც ხელში მეჭირავს—
კავშირის ხეჭედ დასმული.
ერთ დღეს გვირჯგვინა შეიქმო
(მთა არის რაიონშია),
სულ დაბუჩდილი კახურით,
მჭონდათ ლეჩინს სწის ხაშია.
აქ გაზლდათ მურმანიშვილი
და უგრელიძე გმირია,
დოლიძეც ხუცურას ამშვენებს,
რა არის გასაკვირია!
თანაშემწენით თან ახლდათ,
მოლარე სუხმალტერიცა—
ტკბილ მუნჯათი ჩაიტკბეს
ზაგე და გრძელი ყელიცა.
სატყეოში კი გლეხები
ცდებოდენ ჩმათ, ტყვილადა.
მათ რა იცოდენ გამგენი
თუ ქეიფობდენ ტკბილადა,
გათავდა ტყეში სტუმრობა,
სამი დღე მიცდნენ მოლოდა.
ხმა-მაღლა გაიძახოდნენ:
„ნეტა ქალებიც გვყოლოდა“.

ახალდაბელი.

## განცხადება

გაზეთ „კოლექტივიზაცია“-ს № 93 მე გამწერეს, ვითომ დეფიციტიან საქონელს და ფართალს ღარიბ გლეხობის ნაცვლად ჩემს მეგობრებს და ნათესავებს ვატანდე სახლში.

მითქმა-მოთქმის და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ჩემთან კოოპერატივში მხოლოდ ღარიბმა ნათესავებმა და მეგობრებმა იაროთ საქონლის მისაღებათ.

შეძლებულებს კი საქონელს მე თვითონ მიუტან ბინაზე საღამოობით.

სოფელ ნახნოვის კოოპერატივის ნოქარი
ქ. სიგუა.

## ! ? !

სოფელ ზეგანის (ბაღდათის რაიონი) აფთიაქში მოვაწყე ღვინისა და არაყის სავაჭრო.

ბორჯომის ბოთლი ჭაჭის არაყი ღირს 9 მან., პურის 8 მან., სანთლის 10 მან.

მსურველს შეუძლია ვედრობით შეიძინოს.

პატივისცემით ზეგანის
აფთიაქის გამგე.

## შეკითხვა

სოფ. ლელვანის ქოხ-სამკითხველოს გამგეს ნინა ვეფხვაძეს უცნაური ავადმყოფობა დასჩემდა. სამკითხველოში თავმოყრილი ვირთხები — მკითხველები ჰგონია, გლეხები კი ვირთხები, რომლებსაც კივილით ერეკება გარეთ.

თუ ვინმემ რაიმე წამალი იცის — გვაცნობეთ: ლელვანის საბჭოში.

## სიყვარულის ბრალია

უცნაური ხალხი ყოფილა სოფელ დირბში: აქაურ გლეხებს უკვირთ, თუ როგორ მოხდა, რომ კოლექტივის თავმჯდომარე ბაციკაძე და კულაკი კობერიძე ძმად-ნაფიცი მეგობრები გახდენ.

— ნათესავები ეგენი არ არიან, ნათელ-მირონი მაგათ არა აქვთ ერთმანეთში, მაგრამ ისე ტკბილად კი ცხოვრობენ ერთად, გეგონებათ ერთი დედის შვილები არიანო. — ამბობენ დირბელი გლეხები.

— რაში გამოიხატება ეს სიყვარული?—იკითხავს მკითხველი.

სიყვარულის ძალა ამ შემთხვევაში არის პურმარილის ძალა. კულაკი კობერიძე ხშირად პატივს სცემს ბაციკაძეს, მაგრამ მის პატივისცემას არც ბაციკაძე ივიწყებს: ამას წინათ ბაციკაძემ მას დაუბრუნა ჩამორთმეული მიწები და საწარმოო საშუალებანი, ხელი შეუწყო მას პურის გადამალვაში და ეხლა იმის ცდაშია, რომ როგორმე კოლექტივში შეაყვანოს წევრად.

ეს არც საკვირველია, მათ შორის სიყვარული ისე გაღრმავდა, რომ ცალცალკე ცხოვრებაც აღარ შეუძლიათ!

მოდი მნახე.

## უ შ ვ ე ლ ე ე ე თ!!!

— უშველეეელეეეთ!

— რა გაყვირებს ნესტორ?

— ა? შენა?! მერე და, რათა? ბარემ დამხრჩვალიყავი და იგია, რა გეჩქარებოდა გამოსვლა? იქნებ მაშინ მაინც მოექციათ ყურადღება და აქანე ხიდი გაედვათ. ამიზა ფული რომ შევაგროვეთ, მაინც არვინ იცის ვინ გადასანსლა, და!

— ჩემო ნესტორ, ხუმრობის გუნებაზე კი ხარ, მარა, აწი მეც მკითხე, გაწუწულს! რაცხა შემცივდა... მოდი, იქნე მაინც შევიდეთ სკოლის შენობაში, ტანსაცმს მაინც გევიხდით და გავწურავ, თვარა ხედავ რავა წურწურით გამდის!

— აგერ სჯობია ამ ბუჩქს მოეფარე, თვარა, ჩვენი სკოლის სახურავს რომ შეხედო, გული მარჯვენა მხარეს გადაგიგორდება! ჭერი მას არ უვარგა, ფანჯარა და კედლები!... აგერა წვიმაც ქე დეიწყო და იქინე „უზონთიკოდ“ მაინც ვერ გაჩერდები!

— შენ, აწი ლაშეს საბჭოს ხომ არ ურიკინებ?

— მიხვდება, ალბად, ვინცხაზეა!

რე-რო!

## „თ ვ ი თ კ რ ი ტ ი კ ა“

სოფ. ნაწორის კოოპერატივის გამოკეტილი დარაბებიდან ისმოდა საზიზღარი ყვირილი და ლანძღვა-გინება. გამვლელი გლეხები შეჩერებულიყვნენ და ყურს უგდებდნენ ხმაურს:

— შენ ნოქარი კი არა, გლეხების მყვლეფელი ხარ. მომხმარებლებს ატყუებ წონაში, ზედმეტ ფასებს ადებ საქონელს და [illegible] აძლევ, ვისაც შენ მოისურვებ. ეს კიდევ არაფერია, კოოპერატივის წევრების [illegible] შაქარს ნაცნობ ბარიშნებს უნაწილებ და თუ ხმის ამოღება ვინმემ გაბედა ცემით ემუქრები. დიახ, შენ გლეხების მყვლეფელი ხარ.—შენ ერთ გლეხს 5 ფუთ ხორბალში—ერთი ფუთი მოპარე. კოოპერატივიდან ფარულად გატანილი 8 წყვილი ფეხსაცმელი ჩარჩ-ვაჭრებს მიჰყიდე, შაქარი იკი რამდენჯერმე მიეცი ქურდულად შენს [illegible] ანიჩკა ბუაძაშვილს.

მართალია ბოლოს ყველა ყალთაბანდობა გაგიგეს და პასუხისგებაშიც მიგცეს, მაგრამ ძმა-ბიჭების დახმარებით [illegible] თავიდან და ეხლა ისევ ძველებურად დანავარდობ... შენ ნოქარი კი არა გლეხების მოსისხლე მტერი, კულაკების და ჩარჩ-ვაჭრების აგენტი ხარ.—ასეთი საზიზღარი ყვირილი და ძაგილი ისმოდა კოოპერატივიდან.

გლეხებმა ვეღარ მოითმინეს და შეხსნეს კოოპერატივი, რომელშიც ნოქარი ხილია ბოჭორიშვილი დახვდათ მარტო. თურმე ნოქარს კოოპერატივი გამოეკეტნა, და „თვითკრიტიკას“ აწარმოებდა!

აი მოლაღევე! [illegible]

ნაბანა.

## ვაცხადებ

ვინაიდან მე ვერ წარმომედგინა, რომ გაზეთ „კოლექტივიზაცია“-ში გამომქომაგდენ, გთხოვთ ჩემი საჯაროთ გამოსვლა პურის დამზადების კამპანიის წინააღმდეგ, — სოფ. ქირბალის გლეხთა საერთო კრებაზე, ჩახთვალოთ გაუქმებულათ.

კომკავშირელი მიტუშა დოთიაშვილი.

# ესეც მასწავლებელია?!

— რის კოლექტივი, რა კოლექტივი?! რა ჩემი ფეხები ესმით ამ გლეხებს?! რა სჯობია, შე კაცო, შენდა საკუთრად რომ გექნება ყველაფერი?!—ლუღლუღებდა მთვრალი ვანო კობახიძე (არგვეთის ოთხწლედის გამგის მოვალეობის აღმსრულებელი არ გეგონოთ!), როცა შეკრებილ გლეხებს შეხედა.

— ჰო, კარგი, ადექი, ამ ტალახში რასა გორაობ ღორივით? სირცხვილია, რას იტყვიან, აგერა კომკავშირის წევრები, მსუბუქი კავალერია... გიყურებენ, და...— უთხრა ნაცნობმა და, დაუწყო ქაჩვა წუმპედან.

— რაიო?! კომსომოლა? მსუბუქი კავალერია?! ხა! ხა! ხა!. მსუბუქი კავალერია კი არა, მძიმე არტილერიაც ვერაფერს დამაკლებს!

— თორემ, მაინც კაი თვალით არ გიყურებენ, და... მუდამ კი არ გაპატივებენ. მოწაფეებსაც ვერ ექცევი კარგად, ვის გაუგია ისე აღზრდა?! ძველი დრო ხომ არაა, რომ აგინებ მოწაფეებს, სცემ, კუთხეში აყენებ, უფრო კი ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შვილებს, ან რაა, გუშინ გაკვეთილზე კოლექტივზე, რომ გაილაშქრე და მოწაფეებს უბნებოდი—გლეხის ხოვრებაში წინსვლა შეუძლებელია კერძო საკუთრების გარეშეო?!

მერე და რა, სწორედ არ ვიქცევი?! მე სასარგებლო კაცი ვარ, თორემ კომისიამ რომ დაადასტურა რაც შენ ეხლა თქვი, რატომ არ მომხსნეს? მაშასადამე, ჩემი აზრის არიან.

ალი.

—

# ხულიგანი

(ახალდაბა)

ახალდაბელ ემორს გაგაცნობთ
ვანო ხულიგანსა,
ყოფაქცევით დაემსგავსა
თავის ემთრის ძმასა.
თოშტის გამგეთ არის ეხლა,
წერილებს ხსნის იგი.
მუდამ ჩხოუბობს მეტიჩარა
და ენა აქვს დიდი
ამას წინათ ჩამობრძანდა
კლუბში ვანო მთვრალი,
ჩაგვიშალა წარმოდგენა,
ზი აომარია ვალთვი,
შიოტია ერთი მაგრა
და აგინა ყოლას.
შოლტიანო ნუ თუ გვირჩენ
ასეთ გამგის ყოლას?

ა.

# წინ დახვდა



გლეხი—(ძირითად სამუშაოზე გაგზავნილ მუშაკს) შენ არ გამოგზავნე ქალაქიდან ეს ანკეტა შესავსებად?—კეთილ ინებე, და ეხლა შენ თვითონ შეავსე!

# საით?

— საით მიეჩქარები, ამხანაგო შოლტიანო?

— ხოფელ ღვანკითში: გახაჯარი მყავს; მინდა იქაურ საბჭოს გამოლევიძება, რათა თავი მოიფხანოს და იქნება არტელს დაეხმაროს...

— მერე და მაგხიგძე შოლტით?! ჰე-ტა-ტა! რითვინაო? ა? მუჯლუგუნი არა ჯობდა გვერდში?

— არა, სწორედ შოლტია ხაჭირო. იქნება მაშინ მაინც შეინ'რეს და მპოვის ის დამნაშავე კულაკები, რომლებიც კოლექტივს არ უსვენებენ: 4 მაისს, ღამით, კოლექტივის სამუშაო იარაღი რომ დაამტვრიეს; 9 ივლისს ღამით, რომ შეიჭრენ არტელის ვენახში, ვაზი აჩეხეს და აქამდე „ვერ უპოვიათ“ ბოროტმოქმედნი!

ო.

# ფოსტის ბრალია

„შოლტის“ რედაქციაში სხვა წერილებთან ერთად, სრულიად შემთხვევით მოვიდა წერილი მარტვილის თემის კოოპერატივის გამგის იასონ გაბისონიას სახელზე. არ ვიცით ეს წერილი ჩვენ ხელში როგორ ჩავარდა, მისი შინაარსი კი სიტყვა-სიტყვით ასეთია:

„ჩემო უტკბესო, დუშკა იასონ!

მივიღე შენგან გამოგზავნილი ამანათი, რომელშიც იყო 10 მეტრი საკოსტიუმე შევიოტი, 10 გირვანქა შაქარი, 12 ცალი ხელის საპონი და ორი წყვილი ფეხსამოსი.

შემდეგისათვის აუცილებლად გამომიგზავნე, 30 მეტრი მიტკალი, ორი წყვილი კალოში, ერთი დუჟინი ჩაის ჭიქები, ერთი მურაბის ტაშტი და სამი წყვილი ჩ... ლქი. ამ ხნისათვის მე ჩემს ქმარს გაუმჟღავნებ ჩვენს საიდუმლოებას და როგორც წესია ზაქსში სამუდამოდ გავშორდები, რომ შენთან ერთად ბედნიერად და ნეტარებით ვიცხოვროთ.

მეტი რაღა შეგაწუხო ჩემო ანგელოზო, ამანათს ველი. ან რაში გენაღვლება კოოპერატივის ქონება. გკოცნი... გკოცნი..

შენი ელპიტე.

1930 — 27 აგვისტო.

ჩვენ გვინდოდა ეს წერილი ფოსტით გაგვეგზავნა, მაგრამ რადგან გვეშინოდა, რომ კიდევ არავის ჩავარდნოდა ხელში, ამიტომ ჟურნალში მოთავსება ვამჯობინეთ.

ამხ. იასონ, ბოლოს ყველა ეს უბედურება, ხომ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების უვარგისი მუშაობის ბრალია!

შოლტიანი.

—

# გამოცანა

პაემანზე საქციელით.
გადიკიდა თემში ყველა
თავჭრის გლეხებსა და ისქილებს
ჯიბეს იგი ნელა-ნელა.
სასამართლოს კარებზეა
დღიდა ღამე ატუზული.
მერგებაო—გაიძახის.
ხელწერილით ფული, ფული!
შოლტიანო, თუ გვეწვევი,
ყველა გეტყვის მასზე ამბებს,
ხოროშვილს რომ აგინებდა,
მე ვიცოდი ყურში ბამბებს.
ჯერ-ჯერობით შოლტიანო,
ჩემგან ძღვენი ეს იყმარე.
ის ოოლაკი — თითი სამხორ
შენებურად გამიმწარე.

ია.

## კოოპერატივი





ძაღლი—კატას—ხელი არ ახლო, მართლა ვირთხა არ გეგონოს, ეგ მოლოთ-მარელოსის კოოპერატივის ნოქარი მინაგო კიკნაძეა!

## ახალი ცდები

ა . . უნდა კოლექტივი დაშლა — უნდა გაუძლოს მთელი ცხოვრება, თავი მოილარიბოს და შემდეგ არტელში შევიდეს. გაუძლებელი ცხოვრების თანხით დააპურმარილოს კოლექტივის რამდენიმე წევრი და შიგნიდან შეუსიოს გამგეობას.

ამგვარი ცდებით მე უკვე მივაღწიე მიზანს. დღე-დღეზე ველი სოფელ ურბნისის კოლექტივის დაშლას.

კულაკების აგენტი —
შაქრო ხანიშვილი.

## შოლტიანს
(კასპიდან)

1.

ალმასკომის მდივანი
ისევ, ისევ თავადობს,—
ცოლის ძმები მოაწყო
თვითონ თავისთა[ნ]...დო!..
ეს ზურაბი ლოლაძე
უგზო-უკვლოდ ტრიალებს,
სამსახურის დროზე მუდამ
სადგურზე ხეტიალობს...
მე სათქმელი შოლტიანო
ცოტა-ღა დამრჩენია,—
ალმასკომში მომუშავე
გაიცანით ქენიაც...
არშიყობას უნდება,
ვინც საქმისთვის მივა და
ანკი ვისი შერცხვება
კარგათ არის მდივანთან...

2.

ეხლა მინდა გიამბო
ჩვენ არტელის ბუნება,—
წმენდა უნდა მოხდეს თორემ
ელის განადგურება...
კულაკები შეიპარნენ
უყვართ მგლური თარეში,—
ლარიბ გლეხებს უცქერიან
შესაჭმელად თვალებში...
როცა საქმის დრო იყო
და მზით მხრები იწოდენ,—
მაშინ გთხოვეთ შველა და
ხელი არ გაგვიწოდეთ
ეხლა კი აქ მოდიხართ
როს მოვზიდეთ. გირები,—
და კალოზე ტომრიბსა
გსურთ, რომ მოაჭრათ პირები?!.
შოლტიანო მოგვხედე
ვიცი კარგი კაცი ხარ!
ჩვენ შენთვის მოგვინდვია
კულაკების გაცხრილვა...

3.

შოლტიანო ეზა ვიცი
მოდი მომყე მხარდამხარ,—
ჩვენი კოოპერატივი
დიდმა „თაგვმა“ გადახრა...
ნოქარი გაიცანი:
არუნოვი რუბენა
და შემდეგ მწამს შენივე
ქარი შემოუბერავს!..
მავსიელი კაცია
და ვაჭარი,—როგორია?..—
მთელი მისი წარსული
ჩვენს წინაღმდეგ მოგონავს...
მოგიყვება: წმენდაზე
მოხსნეს და მოაშორეს,—
მაგრამ ჟღერ აქ არის
ლამის არის აშმორდეს...
მე გიამბე რაც ვიცოდი
ჩვენი სოფლის ამბავი,—
გთხოვ: ეს ლექსი არ დასტოვო
შენში დაუსტამბავი!..

ხტიქოიძე.

## შეჯიბრი ღვინოში

სოფელ ოფეთში გორიდან
გამოემგზავრა ბრიგადა.
თუმცა ჩვენი ძმა-ბიჭი
მეორანს მიუბუქად მიყავდა
მას შეუერთდა დიოძიდ,
ისიც ბრიგადის წევრია,
შეჯიბრის შესამოწმებლად
მას რაღაც დაუწერია.
მასწავლებლებმა აცოდა
რომ დაეცათ სკოლებში
ობლიგაციის ფულისთვის
არ წასულიყვნენ სოფლებში.
მესამე წევრი იმათი
ნიკიტა მასპინძელია,
მასთან მივიდნენ ესენიც
ღვინო აქვს ყელის მხსნელია.
სალამოობდი ჭიკჭიკი
აბა რა მოსაწყენია,
ოფეთის მასწავლებლებს კი
შიმშილი მოუთმენია.
ჩვენი თუმცა დამთვრალი
მეორანით მიმადგენია.
სადღაც ისწრაფვის, არ იცის,
გულს სევდა შემოფრენია.
და მოისხვეეში მეორანსა
თული დაუწვენია,
თვით კი მახლობლად დამდგარა
ცოტა ხანს დაუსვენია
ვილაც მაღლიან მოგზაურს
ეზოში ჩაუყვანია,
და ძილის შემდეგ გასვრილი
მასპინძელს გაუბანია...
მასწავლებლები იძახის:
„ნეტავ სად არის ბრიგადა,
ალბად თუ დათვრენ, ამდენ ხანს,
აბა რად დაგვიანდა?“.
შოლტო! გაეცი პასუხი
ჩვენი ბრიგადის წევრებსა,
ისე, რომ შოლტის სიმწვავით
ფლოჯავდენ თმას და წვერებსა...

ალია

## ვაცხადებ

ახკანის გლეხების საყურადღებოდ, რომ დილის 8—3 საათამდე ვმეცადინეობ საარშიყო კურსებზე, 3 საათიდან 5-მდე — ვქეიფობ, 5—12 საათამდე არშიყობის პრაქტიკულ სამუშაოზე ვიმყოფები და დანარჩენ დროს მძინავს. ამიტომ თავს ნურავინ შეიწუხებს ჩემთან საქმეზე მოსვლით.

სასოფლო საბჭოს მდივანი
ამირანაშვილი

## ჩვენი ფოსტა

**წიფლიანელს.** იწერებით: ჩვენი ქოხ-სამკითხველო სავსეა საეკლესიო წიგნებით, რა გინდა აქ არ ნახოთ: დავითნი, სახარება, ეპისკოპოსების ქადაგებანი და სხვა ამისთანებით.

მერე და აქ საკვირველი რა არის, როდესაც ქოხ-სამკითხველოს გამგედ ყოფილი მღვდელი ჰყავთ?!

**ხიდისპირელს.** ჩვენ სრულებით რა გვაკვირვებს, რომ ოზრის არტელში შეპარული ვაჭარი და კულაკი ვანო ლომინაშვილი ძირს უთხრის კოლექტივს. არტელში აბა მაშ რა უნდა გააკეთოს, როდესაც მან ამის მეტი არ იცის?!

**ხოხოზს.** თუ ს. ლისის საბჭოს თავმჯდომარე გოგუაშვილი და კომუჯრედის მდივანი ლუხუტაშვილი ადგილობრივ კულაკებთან ორგანიზოვებთან ხშირად ქეიფობენ, ჩვენ ამას მხოლოდ ერთი მოსაზრებით ვხსნით: მათ ალბათ ორგანიზოვების განკულაკება სურთ. ეს ჩვენი მოსაზრება დასტურდება იმითაც, რომ, როგორც შევიტყვეთ, მათ ორგანიზოვები უკვე დაუბრუნებიათ სოფელში, რის გამო მომავალ კვირას სამარიო წვეულებაა დანიშნული. [წ]ვეულებაზე როლები ესეა განაწილებული: კულაკები დუდუკს დაუკრავენ, საბჭოს თავმჯდომარე და უჯრედის მდივანი კი ითამაშებენ ლეკურს.

**კოდალას.** გვწერთ, რომ სოფ ნახნოვის კოოპერატივის ნოქარი კ. ხიგუა საზარალო (დეფიციტიანი) საქონელს თავის ნათესავ-მეგობრებს აძლევს. მე კაი კაცი და მერე რაღას ემდური? თავის ნათესავებს აზარალებს შენ ხომ არა?

# კოლექტიურად

როდესაც ჩვენი ბრიგადა ს. მაჩხაანში მივიდა, წინა დღის საღამო-წარმოდგენაზე ნაქეიფარ ყველა დაწესებულების მუშაკებს ეძინათ, არავინ ფეხზე არ იყო.

ჩვენი გაზეთის ბრიგადის მოხსენებიდან.




იავ-ნანა ვარდო ნანა, იავ-ნანინაო...